ხელშეკრულება №1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „15" იანვარი" 2017 წ.

ა(ა)იპ „2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი" (მის: ქ. თბილისი, ნ.ყიფშიძის ქ.10. ბ.21 , ტელ.: 595 292747, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB033010020165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი-TBCBGE22, სკ-405072219), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ აზმაიფარაშვილის სახით და სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო" (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, ტელ: 2-51-77-99, საბანკო რეკვიზიტები: ა/ა №GE15TB1100000110467697, სს „თიბისი ბანკი", მარჯანიშვილის ფილიალი ბ/კ TBCBGE22, ს/კ: 204478948) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად" მისი დირექტორის ალექსანდრე ხვედელიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №207 და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კუთვნილი „ჰიუნდაი"-ს მარკის ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების გაწევა დანართ №1 შესაბამისად თანმდევი მომსახურებით (CPV-50112200).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 555 (ხუთას ორმოცდათხუთმეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია.

4.1. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

4.2. გარანტია მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დროს გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე, ვრცელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში.

4.3 ამ მუხლის 4.2 პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო მომსახურების პირობები არ ვრცელდება ექსპლუატაციის წესების დარღვევით, გარეგანი ზემოქმედების შედეგად მიყენებულ ზიანზე.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან დაიწყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხიანად და დროულად გაწევა;

ბ) შემსყიდველის ავტომანქანის მომსახურებას მიანიჭოს პრიორიტეტი, რაც გულისხმობს რიგგარეშე და დაუყოვნებლივ მომსახურებას;

გ) მომსახურების დაწყება დაიწყოს დაუყოვნებლივ და დაასრულოს არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ ვადებში შესაბამისი ავტოსათადარიგო ნაწილის არ ქონის ტექნიკური სირთულის გამო ვერ ხერხდება მომსახურების დასრულება, მომსახურება დასრულებული უნდა იქნეს მხარეთა შორის განსაზღვრულ გონივრულ ვადაში;

დ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ე) მომსახურების დასრულებისთანავე გადასცეს შემსყიდველს ავტომანქანა;

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება 2017 წლის 15 თებერვლის ჩათვლით;

ზ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადა სცილდება საგარანტიო ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს საგარანტიო ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელმა ხელი უნდა შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით წარმოდგენილი დეფექტური აქტების, მომსახურების გაწევის აქტების და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7.3 მომსახურების მიღებას აწარმოებს ა(ა)იპ "2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი"-ს დირექტორის მოადგილე გიორგი გიორგაძე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

8.2 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.4 ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 8.3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებში მითითებული ოდენობის პროპორციულად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცდენის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილის ღირებულების 0.07% ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილების ღირებულების 0.07% ოდენობით.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

11.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებულ თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა მე-4, მე-6 მუხლებისა და 10.2 პუნქტისა.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4, მე-6 მუხლები და 10.2 პუნქტი მოქმედებენ ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული ვადით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1. მომსახურების გაწევის დროს, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკი ავტომანქანისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

16.3 ამ ხელშეკრულების დანართი №1 წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ა(ა)იპ „2018 წლის მსოფლიო ოლიმპიადის“ საორგანიზაციო კომიტეტი მის: თბილისი, ნ. ყიფშიძის ქ.10. ბ.21; ტელ: 595292747; საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22; სკ-405072219.	სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო” მის: თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, ტელეფონი: 2-51-77-99, საბანკო რეკვიზიტები: ა/ა GE15TB1100000110467697, სს „თიბისი ბანკი”, მარჯანიშვილის ფილიალი, ბ/კ TBCBGE22, ს/კ: 204478948.

ინვოისი # HY00-000055
მიღება-ჩაბარება

შემოსვლის თარიღი: 15.01.2017
ჩაბარების თარიღი: 15.01.2017

მიმწოდებელი:	სს ჰიუნდაი ავტო საქართველო
მისამართი:	
საბანკო რეკვიზიტები:	GE15TB1100000110467697 TBCBGE22, თიბისი ბანკი
კოდი:	TBCBGE22
ა/ა:	GE15TB1100000110467697 TBCBGE22
საიდ. კოდი:	204478948

მიმღები:	2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადისსაორგანიზაციო კომიტეტი
მისამართი:	
ს/კ:	405072219

ა/მ მარკა:	Hyundai Santafe
სერია-ნომ:	OC018CO
გარბენი:	37442

#	სათადარიგო ნაწილების დასახელება	რაოდენობა	ღირებ.	სამუშაოს დასახელება	რაოდენობა	ღირებ.	თანხა
1	103 ძრავის ზეთი	8	25				200
2	ზეთის ფილტრი	1	40				40
3	shell-anti ანტიფრიზის კონცენტრატი	1	15				15
4	581012wa70-1 ხუნდები	1	270				270
5				ზეთის შეცვლა სტანდარტი	1	15	15
6				სამუხრუჭე ხუნდების შეცვლა	1	15	15
ჯამი							555

მიმწოდებელი:	სს ჰიუნდაი ავტო საქართველო
სერვისის დირექტორი:	ალექსანდრე ხვედელიძე
მიმღები:	2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადისსაორგანიზაციო კომიტეტი

JSC "HYUNDAI AVTO GEORGIA" 204478948